პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 29 სექტემბერი, 1943 წ. № 204 (6829). ფასი 20 კაპ.

წითელმა არმიამ ფეხი შესდგა ბელორუსიის მიწა-წყალზე

„იზვესტიას“ მოწერილი — 28 სექტემბერი

საბჭოთა ჯარები, რომელნიც წარმატებით განაგრძობენ შეტევის განვითარებას და სდევნიან უკუქცეულ მოწინააღმდეგეს, მდინარე დნეპრს მიადგნენ. მძლავრი მდინარე, რომელიც სამ საბჭოთა რესპუბლიკაზე — რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკაზე მიედინება, უკვე წარსდგა ჩვენი მეომრების თვალწინ როგორც მათი ახალი მამაცობისა და დიდების საწყისი. მრავალი ბრძოლისა და რუსული იარაღის გამარჯვების მოწმე მდინარე დნეპრში კვლავ პრიალებს ბრწყინვალე წითელარმიული ხიშტები და იგი კვლავ მოწოდებულია გახდეს გამარჯვების საფეხური. უკვე დნეპროპეტროვსკის, კრემენჩუგისა და კიევის მიმართულებებით საბჭოთა პოლკები ზედ მიადგნენ დიდებულ მდინარეს. და იმავე დღეს, დაუღალავად ანადგურებდნენ რა მტერს, საბჭოთა ჯარებმა გადალახეს ხაზი, რომელიც რუსულ სმოლენსკინას და უკრაინულ ჩერნიგოვშჩინას ბელორუსიისაგან ჰყოფს, და ფეხი შესდგეს ბელორუსიის მიწა-წყალზე.

დაო ბელორუსიავ! მშობლიურო მრავალტანჯულო საბჭოთა რესპუბლიკავ. დადგა შენი დრო, — განთავისუფლების მზე შემოიჭრა შენს ჰორიზონტში, და გამარჯვების პირველი ბრწყინვალე სხივი მოეფინა შენს მიდამოს. შენ გესმოდა სვლა შენი შვილებისა, რომელნიც შენს სახსნელად მოეშურებოდნენ, და აი ისინი. უკვე მოდიან შენს წმიდა მიწა-წყალზე, ჩვენი საშობლოს შვილები, მამაცი წითელი არმიის გმირები. მოდიან და მოაქვთ შენთან ყველა საბჭოთა ხალხის სალამი, მოაქვთ თავისუფლება!

ბელორუსიამ პირველმა განიცადა ჰიტლერელთა ურდოების დარტყმა 1941 წლის ივნისში. ბელორუსიამ პირველმა გამოსცადა გერმანელთა შემოსევის საშინელება. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის პირველსავე საათში 1941 წლის 22 ივნისის კვირა დღის თბილ დილას აქ მძვინვარებდა ცეცხლი და სიკვდილი, გერმანელთა ბომბდამშენები ფუგასებს აყრიდნენ ბელორუსიის ქალაქებს, ჰიტლერელი „ასს“-ები ვარჯიშობდნენ ჰაერიდან ქალებისა და ბავშვების დახვრეტაში, აქედან გამოემართნენ პირველი ლტოლვილნი, ტრაგიკული მომთაბარენი; მათ მოსდევდნენ მოიერიშენი, რომლების ფრთებზედაც შავი ჯვრები იყო გამოხატული. აქ მოხდა პირველი თანასწორო ბრძოლები, რომლებშიც წითელი არმიის მებრძოლები მკერდით იცავდნენ ყოველ მტკაველ მიწას და, უკან იხევდნენ რა მტრის ჭარბი ძალების შემოტევის გამო, თან მოჰქონდათ შურისგებისა და სამაგიეროს გადახდის წყურვილი.

ორ წელზე მეტია, რაც ბელორუსიის მიწა-წყალი ჯვარცმულია გერმანელი დამპყრობლების მიერ, წვალებულია ჰიტლერელი ჯალათების მათრახით. რა უყვეს ბელორუსიას გერმანელმა სულთამხუთავებმა ორ წელიწადში? ჩვენთვის ეს სავსებით ნათელია — ჩვენამდე მუდამ აღწევდა ბელორუსი ხალხის გულგამგმირავი კვნესა, რომელიც დახმარებას და შურისგებას ითხოვდა. მეტად მწვავე იყო ეს კვნესა, მაგრამ იგი იმას გვაუწყებდა, რომ გერმანელების მიერ წამებული და დასახიჩრებული ბელორუსია ცოცხალი იყო!

შემდეგ მალე ტრაგიკული ბელორუსიის უკან დავინახეთ **გმირი** ბელორუსია. დიახ, იგი ცოცხალი იყო და არა მარტო ცოცხალი იყო, — იგი იბრძოდა. მისი თავისუფალი სული, მისი სიცოცხლის ნებისყოფა ვერ გასტეხეს ჯალათებმა. ხალხის წიაღიდან გერმანელ დამმონებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად აღდგნენ დევ-გმირი პარტიზანები. ჩვენ შევიტყეთ 90 წლის ბელორუსი გლეხის — პაპა ტალაშის გმირობის ამბავი, მისი პარტიზანული რაზმის მოქმედება და საგმირო საქმეები. ჩვენ შევიტყეთ „ძია კოსტას“ — ინჟინერ ზასლონოვის, ბელორუსიის საყვარელი შვილის მამაცი რაზმის ამბავი. ბელორუს პარტიზანებს ძრწოლა და შიშის ზარი შეაქვთ გერმანელ „ერთი საათის ბატონებში“, იმათ ასწავლეს ჯალათებს თავიანთი მსხვერპლის წინაშე კანკალი. ჰიტლერული გაზეთი „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“ ბელორუსიის შესახებ სწერდა: „აქ მოიკალათეს ბოლშევიკურმა პარტიზანულმა რაზმებმა, რომლებმაც გააფთრებული ბრძოლა გაიჩაღეს ჩვენი არმიის ზურგში. ბევრი მათგანი საუკეთესოდ არის შეიარაღებული, აქვს რადიოაპარატები, ავტომანქანები და ყოველგვარი სამხედრო მასალა. ისინი გააფთრებულ ბრძოლას ეწევიან გერმანელთა საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ, ამასთან საფრთხეს უქმნიან გადაზიდვას, სარკინიგზო მოძრაობას და ჩვენს აღდგენითს მუშაობას. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ეს ბრძოლა დიდ მსხვერპლად გვიჯდება, იგი ბოჭავს ჩვენი ძალების ნაწილს და სერიოზულ ზიანს გვაყენებს“.

პარტიზანთა დამპყრელ ექსპედიციებს გერმანელები ნამდვილ სამხედრო ლაშქრობებად აქცევენ, რომლებშიც ჰიტლერელთა ჯარების მთელი დივიზიები მონაწილეობენ. დამსჯელნი სწვავდნენ სოფლებს და სპობდნენ მშვიდობიან მოსახლეობას: პარტიზანები მოუხელებელი რჩებიან. ისინი გამოჩნდებიან გზებზე, აფეთქებენ ხიდებს, ლიანდაგიდან აგდებენ გერმანელთა სამხედრო ეშელონებს. ისინი ჩნდებიან დიდ ქალაქებში, და ქუჩებში გაისმის ხმა სროლისა, რომელიც სიცოცხლეს ასალმებს ჰიტლერელ ჯალათებს, კომენდანტებს, მმართველებს, — ყველა ამ ფენჩებს, ბრანდტებს, ერენლაიტერებსა და კლოზეებს. გერმანულმა გაზეთებმა დაითვალეს 1.600-ზე მეტი თვალსაჩინო გერმანელი მოხელე, რომელნიც დამარხული არიან მინსკის მარტო ერთ-ერთ სასაფლაოზე, — 1.600 გერმანელი, რომელნიც დასჯილი არიან ბელორუსი პარტიზანების ხელით.

იმ დღეს, როცა საბჭოთა ჯარები ქომელის მიმართულებით გავიდნენ და ბელორუსიის ზღვრებს უახლოვდებოდნენ, პარტიზანებმა მინსკში მოჰკლეს ჰიტლერელი ნაცვალი, გერმანიის „გენერალური კომისარი“ ბელორუსიაში ვილჰელმ კუბე. მინსკში გასროლილი ტყვია, რომელმაც განგმირა ერთ-ერთი უაღრესად სისხლისმსმელი ჰიტლერელი ჯალათი, ბელორუს პარტიზანთა სალუტი, მათი მისალმება იყო მიახლოებული წითელი არმიისადმი.

ეს სალუტი გაიგონეს ბელორუსიის შვილებმა, რომელნიც სამშობლოს გასათავისუფლებლად მიდიოდნენ წითელი არმიის რიგებში. ისინი მამაცურად იბრძვიან თავისი საბჭოთა სამშობლოსათვის ომის პირველი დღიდანვე, ისინი იბრძოდნენ ბელორუსი გმირის გენერალ დოვატორის დროშებს ქვეშ, ისინი იცავდნენ სტალინგრადს და თავალწინ ჰქონდათ მშობლიური ტევრები და ამწვანებული მდელოები და სოფლები, რომლებშიც მტერი მძვინვარებს. ისინი ისწრაფვიან წინ, დასავლეთისაკენ, და მათთან ერთად ძლევამოსილ ბრძოლებში მიდიან რუსები, უკრაინელები, ქართველები, ყაზახები. ერთად ისწრაფვიან ისინი, — და აი ისინი უკვე მოვიდნენ, დღეს ბელორუსიის მიწა-წყალზე დგანან და მისი გზების მტვერს ეამბორებიან. უკრაინის შემდეგ იწყება მტრის განდევნა ბელორუსიიდან. რეკავს ბელორუსიის განთავისუფლების ეამი! ტერეხოვკა გომელშჩინაში, ხოტიმსკი მოგილიოვშჩინაში—ამ შესანიშნავ მოვლენის პირველი სიგნალებია.

ჩვენ გიხილავთ შენ, დაო ბელორუსიავ, ფეხზე დამდგარსა და წელში გამართულს, განთავისუფლების მადლიანი მზისაკენ პირმიბრუნებულს, და აღმოსავლეთიდან მომავალი ნიავი მოეფინება შენს ამაყსა და მშვენიერ სახეს. შენ იხილავ შენი ჯალათების გასამართლებასაც — შენ ელოდი, დაუმორჩილებელი და ეღირსე იმ ეამს, როცა იწყება მტერზე შურისძიება!

დიდება შენ, საბჭოთა ბელორუსიის რესპუბლიკავ, დიდება შენს შვილებს, მეომრებსა და პარტიზანებს! დიდება მამაცობას, რომლითაც შენ ისტორიის ახალ ფურცელში შედიხარ! წითელი არმიის მეომრები, რომლებმაც ფიცი დასდეს განედევნათ ჰიტლერელი დამპყრობნი საბჭოთა მიწა-წყლიდან, დღეს უკვე აფრიალებენ საბჭოთა სახელოვან დროშას ბელორუსიაში.

სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის მუშაკთა დაჯილდოება

ომიანობის დროის პირობებში სახელმწიფო უშიშროების დაცვის საქმეში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის ორგანოების მუშაკთა ჯგუფი, მათ შორის დაჯილდოებული არიან:

წითელი დროშის ორდენით

1. ქობულოვი ბოგდან ზაქარიას-ძე—სახელმწიფო უშიშროების მეორე რანგის კომისარი.
2. რაფავა ავქსენტი ნარიკის-ძე—სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი.

შინსახკომის მესაზღვრე და შინაგანი ჯარების გენერლების, ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის დაჯილდოება

სამამულო ომის პირობებში სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და მოჭრედი წითელი არმიის ზურგში დაცვის სამსახურის უზრუნველყოფის საქმეში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია შინსახკომის მესაზღვრე და შინაგანი ჯარების გენერლები, ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის ჯგუფი. მათ შორის დაჯილდოებული არიან:

წითელი დროშის ორდენით

1. ლაბაძე ნესტორ დარისპანის-ძე — გენერალ-მაიორი
2. მახარაძე არჩილ ფილიპეს-ძე — ინჟინერ-პოდპოლკოვნიკი.

სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკ ამხ. კ. პ. ბზიავას დაჯილდოება

სამამულო ომის პერიოდში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაკთა ჯგუფი. მათ შორის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი კონსტანტინე პავლეს-ძე ბზიავა.

გვარდიის პოდპოლკოვნიკ ბ. ი. მიქაძის დაჯილდოება

მდინარე დესნაზე გადასვლისას საბრძოლო ოპერაციების უნარიანი ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია პარტიზანთა ჯგუფი. მათ შორის **სუვოროვის III ხარისხის** ორდენით დაჯილდოებულია პოლკოვნიკი ბაგრატიონ ილაიონის-ძე **მიქაძე.**

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

28 სექტემბრის ოპერაციული ცნობა

28 სექტემბრის განმავლობაში კრემენჩუგის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას, წინ წაიწიეს 15-დან 20 კილომეტრამდე და დაიკავეს პოლტავის ოლქის რაიონული ცენტრები გლობინო, ბრადიშსკი, აგრეთვე დაიკავეს 120-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ვასილუტინცი, მოსკალენკი, მატვეევკა, ერემეევკა, გუსინოე, ჟოვნინი, ლიალინცი, ნიკოლაევკა, პუგაჩევკა, მოროზოვკა, პროზოროვკა, ბოირისი, ტვერდოხლები, პოგრები, დონოვკა, მილოვიდოვკა, ოდელნიკი, ზასილია, დმიტრიევკა, ზოლოტნიჩკი და რკინიგზის სადგურები გლობინო, რუბლევკა, გოლეშჩინა, პოტოკი.

კიევის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს და მდინარე დნეპრის მარცხენა ნაპირზე დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტები ნავოზი, სივკი, სოროკოშინი, ნოვო-გლიბოვი, სტარო-გლიბოვი, ოკუნინოვო, ოშიტკი, ნოვოსელკი, ჩერნინი, ტარასოვიჩი, სვარო�ი, სტაროსელი, ოსეშჩინო, პოგრები, ორტნიჩი, ბნედინი, რუდიაკოვი, გუსენცი, იაშნიკი, პიდსინე, ანდრუში, კოზინცი, ვიუნიშჩე, ციბლი, გოროდიშჩე, კოშაროვკა, რეშეტკი, ლეკლიავო, კალებერდა, პროხოროვკა, გუბნოვსკაია სლობოდკა, გუბნოვო, დომანტოვი, კოროგოვკა, კრასნოე, სამოვიცი, ბუტიხი.

გომელის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას, წინ წაიწიეს 10-დან 15 კილომეტრამდე და დაიკავეს ორიოლის ოლქის რაიონული ცენტრი კრასნაია გორა, აგრეთვე დაიკავეს 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბელაია დუბრავა, კლიეკოვიჩი, ბატუროვკა, ლიუბოვშა, ვეტრლიჩი, იასლოვკა, ნოგლიუბკა, სვიიტსკი, ირინოვკა, დემიანკი, ნოსოვიჩი, ტერიუხა, გუტა, ნოვიე იარილოვიჩი, კლუბოვკა, ალექსანდროვკა მე-2, სუსლოვკა და რკინიგზის სადგურები ზაკოპიტიე, ზიბაბოვკა, ტერიუხა.

მოგილიოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას, წინ წაიწიეს 10-დან 25 კილომეტრამდე და დაიკავეს ქალაქი მსტისლავლი, ქალაქი კლიმოვიჩი, ქალაქი კოსტიუკოვიჩი, აგრეთვე დაიკავეს 500-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები სტარიელი, გოროდეცი, სამსონი, კადინო, მიგნოვიჩი, ჟელეზნიკი, კოდოინო, კლატკოვა, კასკოვა, ოსეტიშჩე, დუბროვკა, ნადეიკოვიჩი, სტუდენეცი, კოროგლევო, კულიშოვკა, პოლოუკოვო, ოსმოლოვიჩი, ავტუხოვკა, ანტონოვკა, ჩერვონაია სლობოდა და რკინიგზის სადგურები ოსვა, შესტეროვკა, კომუნარი, ოსმოლოვიჩი, კლიმოვიჩი.

ვიტებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას, წინ წაიწიეს 10-დან 20 კილომეტრამდე და დაიკავეს 300-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის სმოლენსკის ოლქის რაიონული ცენტრი კრასნოე, დიდი დასახლებული პუნქტები ბოიარშჩინა, რაკიტნია, ზაიკი, ტუბოლცი, ლოსი, ზაოზერიე, არხიპოვკა, ზალოვიე, ლოგი, გოლინკი, ანციპოროვო, ბოლშაია დოგრაია, გუიანოვო, რეჩიცი, პოლიანკი და რკინიგზის სადგურები ლელევინსკაია, უხაბნოე, კლოსკაია, ბაშუტკა, გუსინო.

27 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 39 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 71 თვითმფრინავი.

* * *

კრემენჩუგის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. გერმანელები ცდილობდნენ შეეჩერებინათ საბჭოთა ჯარების წინსვლა და კონტრიერიშებზე გადმოდიოდნენ. ჩვენი მებრძოლები უკუაგდებდნენ მტერს, წინ წაიწიეს 20 კილომეტრამდე და დაიკავეს 120-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. 6 შენაერთის ნაწილებმა მოსპეს 900 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დასწვეს და დაანგრიეს მტრის 11 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. სხვა უბანზე ჩვენი ქვეგანაყოფები სწრაფად სდევნიდნენ გერმანელებს და მიადგნენ დნეპრს. ჰიტლერელებმა ვერ მოასწრეს მდინარის მარჯვენა ნაპირზე გადასვლა. მათგან ნაწილი მოსპობილია, დანარჩენები კი ტყეედ დაგვნებდნენ.

ჩვენმა ავიაციამ დაბომბა გერმანელთა ჯარების და მტრის ტექნიკის შეჯგუფებანი დნეპრის მარჯვენა ნაპირზე. მოსპობილია მტრის რამდენიმე ტანკი და 200-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად. საჰაერო ბრძოლებში საბჭოთა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 41 თვითმფრინავი.

* * *

გომელის მიმართულებით 6 შენაერთის ნაწილებმა დაიკავეს ტყის მასივი და მიადგნენ მდინარე ვეს

ასპინძის საკოლმეურნეო მინდვრებზე

ასპინძა („კომუნისტის“ სპეც. კორ.). სამამულო ომის დღეებში ასპინძის კოლმეურნეები მეომრული ტემპებით იბრძვიან ფრონტისა და ჩვენი ქვეყნისათვის. რაც შეიძლება მეტი დახმარების გასაწევად. მარტო სოფ. საროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე არსენ ასპანიძე) 300 მუშახელიდან 200-მდე სტახანოველია, ხოლო სოფ. ხიზაბავრის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გიორგი ველიჯანაშვილი) 342 მუშახელიდან—190-მდე. სოფ. საროს კოლმეურნეობაში გუთნისდედები პავლე წითლანაძე და ნიკო ლონდარიძე, ხოლო ხიზაბავრის კოლმეურნეობაში პავლე გელაშვილი, ბაგრატ ქუხჩიშვილი და სხვ. ნორმებს ხშირად ორმაგად ასრულებენ. სტახანოვური შრომით რაიონის კოლმეურნეობებმა უზრუნველჰყვეს პურეულის მთელი მოსავლის თავის დროზე ხელით აღება. ამჟამად მოსავლის 80 პროცენტზე მეტი, სულ 9.000 ჰექტარამდე ფართობისა, მხოლოდ კევრებით არის გალეწილი. კოლმეურნეობათა ნახევარზე მეტმა ლეწვა უკვე დაამთავრა, როგორც მოსავლის აღება, ისე ლეწვა მოკლე დროში და უდანაკარგოდ დამთავრეს სოფ. ზველის სტალინის სახელობის, სოფ. ნაქალაქევის კ. ჩარკვიანის სახელობის სოფ. ჭობორეთის დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე ყრილობის სახელობის, სოფ. ხახუდაბელის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობებმა.

კოლმეურნეობები საფუძველს უყრიან მომავალი წლისათვის პურეულის უხვი მოსავლის მიღებას. საშემოდგომო თესვის გეგმით გათვალისწინებული 4.900 ჰექტარიდან უკვე დათესილია 1.550-მდე ჰექტარი პური და ჭვავი. უმთავრესად მთის კოლმეურნეობებში. სოფ. შალობეთის ვ. ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც თავმჯდომარედ თ. შაიოღლი მუშაობს, 110 ჰექტარიდან დასთესა 90 ჰექტარი პურეული, ხოლო სოფ. ნიალის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. აღეევი) 250 ჰექტარიდან 150, თესვა წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე სოფ. ტელერთის დეკანოზოვის სახელობის და სოფ. აგარის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებში. ხვნის დავალებებს წარმატებით ასრულებენ სოფ. კამზას ლენინის სახელობის (თავმჯდომარე შ. გოჩაშვილი), სოფ. ქვემო ობურას სტურუას სახელობის, სოფ. წყალთბილას ენგელსის სახელობის, სოფ. ქუნცას ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობები.

საჭიროა აღინიშნოს ზოგიერთი ნაკლი. შრომის მოუწესრიგებლობის შედეგად სოფ. ოთას 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. ყარაოღლი) დაგვიანეს კალოების მოწყობა, გადმოუზიდავი პური, მთლიანად გამოყენებული არ არის ხარები. ასეთივე მდგომარეობაა სოფ. ინდურას შოთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. სულეიმან ოღლი). ორიგე კოლმეურნეობაში ჩამორჩენილია ლეწვა და სხვა სამუშაოები. რაიონში ზოგან პურეულის ნათესი უკვე ამოვიდა, ასპინძის კოლმეურნეობა „წითელ მზვნელში“ კი (თავმჯდომარე ა. ბადალოვი) საშემოდგომო ხვნა ჯერ არც კი დაუწყიათ, 64 უღელი ხარი გამოუყენებელია, გეგმით კი 130 ჰექტარი უნდა დათესოს. ჩამორჩენენ სოფ. ხერთვისის დიმიტროვის სახელობის, სოფ. დოკის ტელმანის სახელობის, ტოლოშის წითელი არმიის XX წლისთავის სახელობის კოლმეურნეობებშიც. თესვის, ოპტიმალური ვადები ეთესოთ სწრაფად და მაღალხარისხოვნად, — ასეთია ამოცანა.

ტრ. თოდრაძე

თვალისამხილველი ქარელში

ქარელი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონში გეგმით უნდა დათესოს 11.400 ექტარი საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურები. 24 სექტემბრისათვის დათესილია 700 ჰექტარი. მთელი რიგი კოლმეურნეობები კარგად მოემზადნენ თესვისათვის. ქარელის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ დაამთავრა საშემოდგომო ხვნა-თესვა. ზემო ხვედურეთის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძს“ კი შემოდგომის თესვა შესრულებული აქვს 70 პროცენტით. ქვემო ხვედურეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ 150 ჰექტარიდან 100 უკვე დასთესა. ამ კოლმეურნეობაში ენერგიული მუშაობენ სერგო ელბაქიძისა და გიორგი ბერუაშვილის ბრიგადები. წარმატებით მიმდინარეობს ხვნა-თესვა რუსის, შუა უბნის, ურბნისის, სუქანაანთ უბნის, დიდი ახალსოფლის, გალავნის კოლმეურნეობებში.

საშემოდგომო ხვნა-თესვაში ეხვეწებით ნაკლსაც. ცერონისის კოლმეურნეობა ნელი ტემპით აწარმოებს ხვნას. 20 სექტემბრისათვის არც ერთი ჰექტარი არ ჰქონდა დათესილი, თესლიც აკლია. ბებნისის კოლმეურნეობას 6 ბონაზე მეტი სათესლე მასალა აკლია, თესვა შეუწყნარებლივ ნელი ტემპით მიმდინარეობს თესვის დაწესებული ვადები დაარღვიეს. გამწევი ძალა რაციონალურად არ არის გამოყენებული ბრეთის არადეთისა და ქვენატკლის კოლმეურნეობებში.

დირბის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა ყველაზე დიდი კოლმეურნეობაა რაიონში. თესვის რაიონული გეგმის 10 პროცენტი ამ კოლმეურნეობაზე მოდის. მას შემოდგომაზე დასთესა აქვს 700 ჰექტარი, 24 სექტემბრისათვის კი მოხნული ჰქონდა 225 ჰექტარი. დათესილი იყო მხოლოდ 30 ჰექტარი. საჭიროა რუისის მტს-მა გააძლიეროს სატრაქტორო ბრიგადები, ვინაიდან კოლმეურნეობას ცოცხალი გამწევი ძალა მცირე რაოდენობით ჰყავს და მოცემულ ვადებში თესვის დამთავრებას ვერ უზრუნველჰყოფს.

რაიონის მტს-ები დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობენ. რუისის მტს-ის „ნატის“ მარკის ერთი ტრაქტორი წინაუბნის კოლმეურნეობაში თვეზე მეტია უმოქმედოდ დგას. ასევე უქმად დგას აგარის მტს-ის „სტზ“ მარკის 3 ტრაქტორი თამარაშენის კოლმეურნეობის მინდვრებზე ათი დღის განმავლობაში. ქარელის მტს-ის ჩოჩიშვილის ტრაქტორმა ქვემო ხვედურეთის, სუქანხლე ფართობში შვიდ დღეში მხოლოდ 3 ჰექტარი მოხნა, ასეთია ქარელის მტს-ების უხეირო მუშაობის ფაქტები. სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა იკოშვილმა სამწერისის კოლმეურნეობაში შეადგინა აქტი № 764, რომელშიც ნაჩვენებია, თითქოს 161 ჰექტარი დაფარცხა, სინამდვილეში კი ერთი ჰექტარიც არ დაუფარცხავს. ამ ყალბ აქტს, სამწუხაროდ, ხელი მოაწერა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ლურსმანაშვილმა. მსგავს შემთხვევებს ადგილი ჰქონდა სანებლისა და ეხიოჯვრის კოლმეურნეობებშიც. თვალსაჩინოვნად ქარელის რაიონის მტს-ებში სათანადოდ უნდა დაისაჯონ.

ვ. ინასარიძე

თესვა მასობრივად გაჩაღდა

საგარეჯოს რაიონში 25 სექტემბრისათვის მოხნული იყო 5.350 ჰექტარი—გეგმის 41 პროცენტი. დათესილია 2.751 ჰექტარი საშემოდგომო კულტურები. თესვაში მოწინავეთა რიგებში არიან კოლმეურნეობა „ახალი შრომა“, ბუდიონის სახელობის და სოფლის წყაროს კოლმეურნეობები.

რევაზოვი

მარცვლეულის ჩაბარების გეგმის შესრულება

ყვარლის რაიონმა ფახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების 1943 წლის გეგმა 101.5 პროცენტით შეასრულა, მტს-ისათვის ნატურსაზღაურისა კი—100 პროცენტით. ასევე 100 პროცენტით არის შესრულებული წითელი არმიის ფონდში პურის ჩაბარების გეგმა.

საქ. კ. კ. (ბ) ყვარლის რაიკომის მდივანი **ციხისთავი**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ჯაშიაშვილი**

გეგმის შესრულება

ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკამ ჩაის მწვანეფოთლის დამზადების წლიური გეგმა 27 სექტემბრისათვის 100.2 პროცენტით შეასრულა.

დ. ცინცაბაძე
ჩაის ფაბრიკის დირექტორი

მოსავლის აღება
(საქმინწსახკომის 25 სექტემბრის ცნობებით)

რაიონები	მარცვლეულისა და ცერცვლიანი კულტურების აღება პროცენტებით	ბალღრეული თივისა და ცერცვლიანი კულტურების ბალღი პროცენტებით	ადებულია კარტოფილი ფილი პროცენტ	თამბაქოს შეტანა პროცენტებით
აფხაზეთის ასსრ			19,9	56,9
აჭარის ასსრ	3,2		2,6	74,5
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	77,7	81,6	13,7	
ზუგდიდი				94,6
ჩობალური			14,0	36,6
ქუთაისი	5,3	86,6	77,1	
წყალტუბო			76,1	
სამტრედია	6,3	73,0	76,9	
ფოთური	15,9	98,1	74,5	
საჩხერე	35,4	97,6	74,2	
ორჯონიკიძე	22,6	100,0	39,3	
ონი	62,7	94,8		
ამბროლაური	45,3	95,0	5,9	
ცაგერი	33,7	98,3		
ქვემო სვანეთი	40,6	90,7		
ახალქალაქი	100,0	2,9		
ბოგდანოვკა	82,4	25,7	5,6	
ახალციხე	78,9	95,8	18,2	
ადიგენი	66,3	97,3		
ასპინძა	96,4	82,7		
ნაშური	76,9	98,0	58,7	

რაიონები	მარცვლეულისა და ცერცვლიანი კულტურების აღება პროცენტებით	ბალღრეული თივისა და ცერცვლიანი კულტურების ბალღი პროცენტებით	ადებულია კარტოფილი ფილი პროცენტ	თამბაქოს შეტანა პროცენტებით
ქარელი	76,3	94,8	52,7	
გორი	67,3	89,8	32,8	
კასპი	75,3	86,7	17,1	
ბორჯომი	53,0	56,4	7,6	
წალკა	93,6	25,1		
დუშეთი	83,3	85,7	38,5	
თეთრი წყარო	85,0	83,9	46,2	
თიანეთი	73,9	57,9		
გურჯაანი	77,6	95,1	100,0	51,0
სიღნაღი	91,4	100,0	100,0	38,6
წითელი წყარო	92,2	89,0	100,0	
თელავი	73,6	98,7	44,9	
ყვარელი	86,5	100,0	80,0	42,0
ლაგოდეხი	87,3	98,6	64,5	90,4
თბილისი	94,8	82,2	63,7	
მცხეთა	75,2	82,7		
ყარაია	76,0	83,0	16,8	
ბორჩალო	88,5	92,7	7,2	63,2
ბოლნისი	88,6	86,7	93,9	46,2
საგარეჯო	78,1	85,9	37,2	
ბაკურიანი	79,5	34,7		

ახალი ცნობების წარმოუდგენლობის გამო ადიგენის, ნაშურის ბორჩალოს და ბაკურიანის რაიონებზე ცხრილში შეტანილია 20 სექტემბრის მაჩვენებლები.

ს. ფაფალიფვილი

პოლეგავასადმი

მრავალჯერ მტერი ავის მზრახველი
დაგეჯახება გრიგალთა მხვავხად,
მაგრამ ყოველთვის გეპყრა მახვილი
და ვაუკაცურად იცავდი თავსა.

იდექ სიმტკიცით გულჩამკრაველი,
ყამთა ნიავემ ვერ დაგდო ყანგი,
გახსოვდა სიმხნე პეტრე პირველის
და ბრწყინვალება პუშკინის ჩანგის.

და უფრო მეტად გახსოვხნებდა
ახალი მზის ქვეშ დღეთა დინება,
საქმით ამხდარი გმირთა ოცნება —
დიდი საშობლოს აღორძინება.

და თუ შენს ცაზე გავარდა მეხი,
თუ დაგეჩრდილა კვლავ სიხარული —
როს გულზე შეგდგა ბინძური ფეხით,
მტერი მზაკვრულად შემოპარული,

შენ არ დაეცი, შენ არ დაეცი
და ეგ მახვილი ელავდა მაინც,
და მტერს პასუხი ისე გაეცი,
როგორც შეეფერის გმირსა და რაინდს.

ვერა გმარხავდა ხანძართა ფერფლი,
გწამდა ბელადის შენ დაპირება,
რომ უკვდავია სისხლი და მსხვერპლი —
თუ ის სამშობლოს შეეწირება.

და აჰა, ახლა დიდი იმედი,
კვლავ გამარჯვება დიდებით გმოსავს, —
გაშალე მკლავი, აღმართე ქედი,
რომ აგამაღლა სტალინის დროშამ,

რომ ტყვეობიდან გამოხსნილ გმირებს
მოძმე ქალაქებს ჩაუდგე მხარში,
და შენგან მისწვდეს დნეპრის ნაპირებს
გამარჯვებათა მჭუხარე მარში,

რომ კასპიიდან — ოკეანემდე
ჩვენთვის ბრწყინავდეს ლაჟვარდი ცისა,
და არასოდეს მტერს არ დანებდეს
არც ერთი გოჯი ჩვენი მიწისა.

24 სექტემბერი 1943 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელ დამპყრობთა წინაღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის ამ დღეებში დაჯილდოებულ იქნა ქართველ რიგით მებრძოლთა, სერჟანტთა და ოფიცერთა ჯგუფი.

სურათზე: პოლკოვნიკი გიორგი ყურაშვილი „წითელი ვარსკვლავის“ ორდენს აბარებს კაპიტან ალექსანდრე ამბერკის-ძე ხარატიშვილს.

ჯყვარჩელის მეშახტეთა მიღწევები

ტყვარჩელი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ტყვარჩელში დღითი დღე მრავლდება სემიოვოლოსელების რიცხვი, უკეთ მუშაობას იწყებს შიდასაშახტო ტრანსპორტი, ქვანახშირის გამოღების სადღეღამისო დავალებებს ტრესტი გადაჭარბებით ასრულებს.

22 სექტემბრისათვის ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა 101,2 პროცენტით შეასრულა სექტემბრის 21 დღის დავალება, რაც წელს პირველი მიღწევაა ტრესტის მუშაობაში.

26 სექტემბრისთვის სექტემბრის 25 დღის გეგმა ტრესტმა 102 პროცენტით შეასრულა.

ქვანახშირის გამოღებაში წინ მიდის მეხუთე უბანი (უბნის უფროსი ამხ. ვ. აგამოლოვი), სადაც 22 სექტემბრისათვის უკვე შეასრულებული ჰქონდათ თვიური დავალება. 25 სექტემბერს ამ უბანზე მომუშავე სემიოვოლოსელმა მწგრეველმა ამხ. პავლე სპიჩაკმა ცვლაში მოიგნარი 107 ტონა ქვანახშირი, ე. ი. ერთ ცვლაში მუშაობის გეგმა შესრულა 1.170 პროცენტით და გამოიმუშავა 1.125 მანეთი.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტში სემიოვოლოსური მოძრაობის განვითარების საქმეს უშუალო ხელმძღვანელობას უწევს ტყვარჩელის ცნობილი მეშახტე—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ამჟამად ტყვარჩელის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ორდენოსანი ნ. ხუნტუა.

23 სექტემბერს სემიოვოლოსის მეთოდით პირველად დაიწყო ხუთ სანგრეშში მუშაობა მბურღავმა ნ. ტარასოვმა, რომელმაც პირველ დღესვე გეგმა 358,5 პროცენტით შეასრულა. მასთან ერთად შახტში ჩავიდა ამხ. ნ. ხუნტუა, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა მბურღავის მუშაობას. ასეთსავე კარგ მიღწევებს გვაძლევენ სემიოვოლოსელები ი. ლაზარია, ს. მუშტაფა, ლ. ზაკუსიერო, ხოლო უკანასკნელად მათ გადაუჭარბა სემიოვოლოსელმა მწგრეველმა ამხ. ჰ. სპიჩკმა. შახტის პარტორგანიზაციამ მუშაობა გაშალა ამხ. სპიჩკისა და სხვა სემიოვოლოსელების მიღწევათა პოპულარიზაციისათვის.

ა. კალატოზაშვილი

ინჟინერ ა. ი. ჭიპაშვილის გამოგონება

ლ. ჰ. ბერიას სახელობის ამირ-კავკასიის რკინიგზის ინჟინერმა ამხ. ა. ი. ჭიპაშვილმა გამოიგონა ელექტრო-პნევმატური მანქანა, რომელიც იდგმება ორთქლმავალზე და ავტომატურად აჩერებს მატარებელს. ინჟინერ ა. ი. ჭიპაშვილის მანქანა ექსპლოატაციის პირობებში გამოსცადა სპეციალისტების საგზაო კომისიამ გზათა სახალხო კომისრიატის წარმომადგენლებთან ერთად და კარგი შეფასება მისცა მას.

გზათა სახალხო კომისრის მოადგილის ბრძანებით ამჟამად მზადდება ინჟ. ჭიპაშვილის მიერ გამოგონებული მანქანის 12 კომპლექტი. აქედან 7 მანქანა დაიდგმება ამირ-კავკასიის გზის ელექტრომავლებსა და ორთქლმავლებზე, ხოლო ხუთი გაიგზავნება ურალის რკინიგზებზე ექსპლოატაციის პირობებში გამოცდისათვის.

ინჟინერ ა. ი. ჭიპაშვილის გამოგონება მა. ტარებელთა უშიშარ მოძრაობას უზრუნველჰყოფს.

ინჟინერი ს. ბეტაშვილი

დეკემბერი

შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტს შორის

ლონდონი, 26 სექტემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტს შორის ხელმოწერილია დროებითი შეთანხმება ურთიერთდახმარებაზე ომის წარმოებაში. ამერიკის შეერთებული შტატები კომიტეტს მიაწოდებენ სამხედრო მასალას საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის საფუძველზე. შეერთებული შტატებიდან შემოტანილ სამოქალაქო მოხმარების საგნებს საფრანგეთის ხელისუფალნი შეისყიდიან საერთო შეთანხმებით დაწესებულ ფასებში. საჭურვლისა და სამხედრო მასალის სამაგიეროდ შეერთებულ შტატებს ენიჭებათ უფლება გამოიყენონ რკინიგზები და სანავიგაციო ნაგებობანი ჩრდილოეთ აფრიკაში, აგრეთვე გაზიდონ მარცვლეული, მინერალები, რკინა, ვარვანეკი და ფოსფატები.

ასეთივე შეთანხმება მალე დაიდება დიდ ბრიტანეთთანაც.

სამოქალაქო მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 28 სექტემბერი (საკადესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი გადმოგვცემს, რომ მერვე არმია განაგრძობს წინსვლას მდინარე ოფანტოს ჩრდილოეთით. მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ფოჯა. მტერს მეტად მძიმე ზარალი მოუვიდა. მეხუთე არმიამაც წინ წაიწია და ახალი პოზიციები დაიკავა.

რეიტერის საგენტოს სპეციალური კორესპონდენტის ცნობით, რომელიც მოკავშირეების შტაბთან იმყოფება ჩრდილოეთ აფრიკაში, მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ლიონი—სალერნოს აღმოსავლეთით. სალერნოს ფრონტზე მოქმედმა ამერიკელთა ნაწილებმა აგრეთვე დაიკავეს კასტელნუოვა.

ვაშინგტონი, 28 სექტემბერი (საკადესი). ა. შ. შტატების სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ 16 სექტემბრამდე ამერიკის ჯარებმა სალერნოსათვის ბრძოლაში დაჰკარგეს 3.497 კაცი მოკლულთა, დაჭრილთა და უკვალოდ დაკარგულთა სახით. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამ რიცხვში შედის 14 სექტემბრის ზარალიც, როდესაც გერმანელებმა განაცხადეს, რომ ამერიკელებმა დაჰკარგეს 8-დან 10 ათასამდე კაცი მოკლულთა სახით. აგრეთვე ამდენივე კაცი ტყვედ წაყვანილთა სახით.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 28 სექტემბერი (საკადესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ამერიკელთა თვითმფრინავების „მფრინავი სიმაგრეების“ დიდმა შენაერთებმა 27 სექტემბერს იერიში მიიტანეს სანავსადგურო ნაგებობებზე ემდენში და ობიექტებზე აურიხში. „მფრინავ სიმაგრეებს“ თან ახლდნენ ინგლისის გამანადგურებელი ავიაციის თვითმფრინაელები.

ამერიკის ბომბდამშენებმა წყალქვეშა ნაუბის ბაზას ემდენში 1.000 ტონა ბომბი დააყარეს.

27 სექტემბერს ღამით ინგლისის ავიაციამ იერიში მიიტანა ჰანოვერზე. გარდა ამისა, დაბომბეს ბრაუნშვაიგი და ემდენი.

გრაციანის თავს დაესხნენ

ლონდონი, 28 სექტემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, შვეიცარიაში მიღებული ცნობებით, 25 სექტემბერს თავს დაესხნენ მარშალ გრაციანის, რომელიც არის „თავდაცვის მინისტრი“ მუსოლინის მიერ შედგენილ მარიონეტულ „მთავრობაში“. ფაშისტთა ხელისუფლებმა მრავალი ხალხი დააპატიმრეს, მაგრამ თავდასხმის მონაწილეთა აღმოჩენა ვერ მოახერხეს.

მღელვარება გერმანელ მეზღვაურთა შორის

ლონდონი, 28 სექტემბერი (საკადესი). რეიტერის სააგენტოს სტოკჰოლმელი სპეციალური კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ ნორვეგიაში ალტენ-ფიორდში მყოფი გერმანიის სახაზო გემების „ტირპიცის“, „შარნჰორსტისა“ და „ლუტცოვის“ ეკიპაჟებმა ეს ხომალდები დააზიანეს.

მღელვარება სამი სახაზო გემის ეკიპაჟთა შორის გაძლიერდა იმ ცნობასთან დაკავშირებით, რომ სარდლობას განზრახული აქვს ეს ხომალდები გაგზავნოს ატლანტის ოკეანეში გემთა ჭარავნების წინააღმდეგ სამოქმედოდ. იტალიის ფლოტის კაპიტულაციამ აგრეთვე ძლიერ იმოქმედა გერმანელ მეზღვაურთა სულისკვეთებაზე.

ბელგიელთა პარტიზანული რაზმები აჩქარების ჭყეშ

ლონდონი, 28 სექტემბერი (საკადესი). ბელგიის დამოუკიდებელი დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ არდენის ტყეში ბელგიელ ტერიტორიაზე მოქმედებენ შეიარაღებული პარტიზანული რაზმები. შემდგარნი მეტწილად ბელგიელი მოშიბისა და სტუდენტებისაგან, რომლებმაც თავი აარიდეს გერმანიაში იძულებითს სამუშაოზე მობილიზაციას. პარტიზანები შეიარაღებული არიან ავტომატებით, შაშხანებითა და რეკოლვერებით. სოფლების მოსახლეობა ხალისით ეხმარება პარტიზანებს სურსათითა და ტანსაცმლით.

სკოლის მუშაკთა საქალაქო თათბირი

25 სექტემბერს თბილისის სახლში გაიმართა თბილისის სკოლების დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეებისა და სამხედრო ხელმძღვანელების თათბირი, სარაიონო საბჭოების აღმასკომების განათლების განყოფილებათა გამგეებთან ერთად.

სამამულო ომის დღეებში თბილისის სკოლების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა თბილისის საბჭოს აღმასკომის განთლების განყოფილების გამგემ ამხ. ბ. ი. კიზირიამ.

თავის მოხსენებაში ამხ. კიზირია ვრცლად შეჩერდა იმ ამოცანებზე, რომლებიც დაყენებულია სკოლის მუშაკების წინაშე ქალ-ვაჟთა განცალკევებული მეცადინეობისა და მოსწავლეთა ყოფაქცევის ახალი წესების შემოღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. მ. ი. ბურჭულაძემ თავისი მოხსენება მიუძღვნა მოწაფეთა ყოფაქცევის წესების პროექტს, რაც შემუშავებულია რსფსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ.

თბილისის საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ნ. კ. ლინის მიერ შედგენილ „მარიონეტულ „მთავრობაში“. ფაშისტთა ხელისუფლებმა მრავალი ხალხი დააპატიმრეს, მაგრამ თავდასხმის მონაწილეთა აღმოჩენა ვერ მოახერხეს.

მღელვარება გერმანელ მეზღვაურთა შორის

ლონდონი, 28 სექტემბერი (საკადესი). რეიტერის სააგენტოს სტოკჰოლმელი სპეციალური კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ ნორვეგიაში ალტენ-ფიორდში მყოფი გერმანიის სახაზო გემების „ტირპიცის“, „შარნჰორსტისა“ და „ლუტცოვის“ ეკიპაჟებმა ეს ხომალდები დააზიანეს.

ბელგიელთა პარტიზანული რაზმები აჩქარების ჭყეშ

ლონდონი, 28 სექტემბერი (საკადესი). ბელგიის დამოუკიდებელი დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ არდენის ტყეში ბელგიელ ტერიტორიაზე მოქმედებენ შეიარაღებული პარტიზანული რაზმები. შემდგარნი მეტწილად ბელგიელი მოშიბისა და სტუდენტებისაგან.

ნასამართლე

გამფლანგველები დასჯილი არიან

შინსახკომის ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა იუსტიციის უფროს ლეიტენანტ ამხ. ბურდულის თავმჯდომარეობით, წევრების ამხ. ფინინის, ჩიკიტაძის და საქ. სს რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწის ბახანოვის მონაწილეობით, გაარჩია საქმე ასურეთის სოფლის კოოპერატივის ღვინის საწყობის გამგის ნიკოლოზ ზაქარიას-ძე პატარქალაშვილის, მთავარი ბუხჰალტრის მიხეილ ოსიპის-ძე პოლოსკის, ასურეთის სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარის მიხეილ დავითის-ძე ბერძენიშვილის და თეთრიწყაროს რაიონამმხარებლო კავშირის მთავარი ბუხჰალტრის მიხეილ ივანეს-ძე კოვალიოვისა. პირველ სამ ბრალდებულს, რომელთა დანაშაული გათვალისწინებულია 1932 წ. 7 აგვისტოს კანონით, ბრალად ედება სახელმწიფო თანხების განიავება და მითვისება.

როგორც სასამართლოს სხდომაზე დადასტურდა, აღნიშნულ სამეულს ერთმანეთთან წინასწარი შეთანხმებით უწარმოებია კომბინაციები და ამ გზით მიუთვისებია 141,296 მანეთი და 62 კაპ. სახელმწიფო თანხები. რის გამო სასამართლომ მიუსაჯა ბრალდებულებს პატარქალაშვილს, ბერძენიშვილსა და პოლოსკის 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა თითოეულს, სასჯელის მოხდის შემდეგ ჩამოერთვათ ხმის უფლება 5-5 წლით და კონფისკაცია ეყო მთ პირად ქონებას. მათვე დაეკისრათ გადაიხადონ სოფლის კოოპერატივის სასარგებლოდ: პატარქალაშვილმა 80 ათასი მანეთი, ხოლო პოლოსკიმ და ბერძენიშვილმა 60.296 მანეთი. ბრალდებული კოვალიოვი დანაშაულის დაუმტკიცებლობის გამო სასამართლომ გაამართლა.

ფოთის თეატრის გასტროლები

ფოთის თეატრმა წელს ზაფხულში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა საქართველოს სამხრეთ რაიონებში. თეატრმა 29 ივლისს გასტროლები დაიწყო ბორჯომში. რეპერტუარში ჰქონდა შემდეგი დადგმები: ა. სუმბათაშვილის „ღალატი“ და „ციხის საიდუმლო“ დ. ერისთავის „სამშობლო“, თემურხანოვისა და სტანისლავსკის „ბურისძიება“, ვ. შალიკაშვილის „ფნიადაგონი“, პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“ და ვ. გუნიას „და-ძმა“.

თეატრმა ბორჯომის მაყურებელს 17 წარმოდგენა უჩვენა, რის შემდეგ გაემგზავრა ახალციხეში, სადაც გაიმართა 12 წარმოდგენა. ამის გარდა თეატრმა 11 საშეფო წარმოდგენა მოაწყო.

ახალციხიდან თეატრი ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მიიწვიეს ადიგენში. თეატრმა იქ გამართა ერთი წარმოდგენა—„სამშობლო“.

ადიგენიდან თეატრი ზესტაფონს გაემგზავრა, სადაც 2 სექტემბერს დაიწყო საგასტროლო წარმოდგენები. 10 დღის განმავლობაში თეატრმა ზესტაფონის მაყურებელს 11 წარმოდგენა უჩვენა.

გასტროლებმა საქართველოს სამხრეთის რაიონებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. აღსანიშნავია, რომ ამ რაიონებს არ აქვთ საკუთარი თეატრები, უტრანსპორტობის გამო არც სისტრაფო ბრიგადები ჩადიან იქ ხშირად. ამიტომ ფოთის თეატრის ინიციატივა მესხეთის მხატვრული მომსახურების საქმეში მოსაწონია. ხელოვნების საქმეთა სამმართველომ მომავალი წლისათვის უთუოდ უნდა დასახოს ღონისძიებები სამხრეთ საქართველოს რაიონების მხატვრული მომსახურებისათვის და მიაკვლინოს იქ თეატრები უფრო ხანგრძლივი დროით.

გ. რიონელი

ქ. ი. გვარამაძე

ბანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ახალციხეში გარდაიცვალა საზოგადო მოღვაწე, მასწავლებელი კონსტანტინე ივანეს-ძე გვარამაძე.

ქ. ი. გვარამაძე დაიბადა ქ. ახალციხეში 1867 წელს. საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოიყვანა მამამისმა, ისტორიკოსთა წრეში კარგად ცნობილმა მოღვაწემ ივანე გვარამაძემ („ვინმე მესხი“). 40 წლის განმავლობაში ქ. გვარამაძე მასწავლებლობდა სჰქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ის სწავლობდა და აგროვებდა ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ და ფოლკლორულ მასალებს მესხეთის შესახებ. დაბეჭდილი აქვს 13 სახელმოდების ცალკე წიგნი და მრავალი წერილი ეროვნულ-გაზეთებში „კრებულში“, „ცვალში“, „ფანასლებაში“, „მოგზაურში“ და სხვ. პირადი ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს ძველ მოღვაწეებთან. არ ყოფილა არც ერთი კულტურულ-საგანმანათლებელ საქმიანობა მესხეთში, რომელშიც გამოვენებულს აქტიური მონაწილეობა არ მიეღო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქ. გვარამაძე ახალციხეში ერერგიით შეუდგა მუშაობას, დაარსა ახალციხის არქივი, აქტიური მონაწილეობა მიიღო მუზეუმის დაარსებაში, იყო სიძველეთა დაცვის რწმუნებული, შეადგინა მესხეთის სიძველეთა სია, რომელშიც 360-მდე ძეგლი დასახელებული.

საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა ქ. გვარამაძის დიდი ხნის ნაყოფიერი მუშაობა, 1930 წ. ქ. ახალციხეში გადაუხადა 40 წლის მოღვაწეობის იუბილე და დაუნიშნა პერსონალური პენსია.

გ. ლეონიძე, ს. ცაიშვილი, ნ. ტაბიძე, გ. ტივაძე, ი. იმედაშვილი, ვ. ხმალაძე, გ. გურგენიძე, ს. მაკალათია.

ლექციები და მოხსენებები

29 სექტემბერს, საღამოს 5 საათსა და 30 წუთზე, საქფილეგტის საზაფხულო ბაღში (პლეხანოვის, 123) შესდგება ამხ. სულეიმანის ლექცია. თემა: „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

ბილეთების მიღება შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში და საქფილეგტის სალაროში.

29 სექტემბერს, საღამოს 7 ს. 30 წ., სა